# საქ. ა. ლ. კ. კ. დუშეთის სარაიონო კომიტეტი

## რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა

მიღებული უჯრედის მდივნებისა და აქტივის გაფართოებულ თათბირის მიერ ამხ. გ. ცინცაძის მოხსენების და ადგილებიდან უჯრედის მდივნების მოხსენებათა გამო.

საქ. ალკკ ცეკას მეორე პლენუმის შედეგებისა და რაიონში გაზაფხულის სას. სამ. კომპანიის მიმდინარეობის შესახებ.

**ჩვენს ქვეყანაში ქალაქის მრეწველობისა და სოფლად სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ბაზაზედ, გამწვავებულ ბრძოლის წარმოებით, კლასიური მტრების, მათი აგენტურის — მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტიუნისტების წინააღმდეგ, პარტიამ მიაღწია თვალსაჩინო წარმატებებს საკოლმეურნეო აღმშენებლობის დარგში. ორ ფრონტზე შეუნებელი ბრძოლის წარმოებით პარტია ახორციელებს ლოზუნგს, — რომ გადავიდეს კულაკობის შევიწროების და შეზღუდვის პოლიტიკიდან მისი საბოლოოდ მოსპობის პოლიტიკაზე მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზედ დაყრდნობით.**

გაფართოებული თათბირი ერთხმად და სავსებით იწონებს საქ. ალკკ ცეკას მეორე პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს და აღნიშნავს, კომკავშირი გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის პერიოდში მთლიანი კოლექტივიზაციისათვის სზჭირო პირობების შესაქმნელად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ სდგას საბრძოლო პოზიციებზე და თავდადებულად იბრძვის პარტიის გენერალურ ხაზის ცხოვრებაში გატარებისათვის. იბრძვის მეორე ბოლშევიკურ გაზაფხულის სას. სამ. კამპანიის მტკიცედ და ურყევად შესრულებისათვის და სდგას მებრძოლ რიგებში სოფლად ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურების განვითარების და მესაქონლეობის გაფართოებისათვის.

**ამრიგად დუშეთის რაიონში მიღწეულია საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში საგრძნობი გარდატეხა** (თუ კი 1931 წლის იანვრისათვის იყო 16 %-ტი გაერთიანებული კოლმეურნეობებში, ეხლა პირველ აპრილისათვის მიღწეულია მოსახლეობის 26 %) — **ჩამოყალიბდა ახალი კოლექტივები და სხვა.**

დუშეთის კომკავშირის ორგანიზაცია — აღნიშნავს გაფართოებული თათბირი პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ, როგორც პარტიის ერთგული და აქტიური თანაშემწე იბრძვის კოლმეურნეობის საქმეში; **შეფობით ნებაყოფლობითი საფუძველზე გაერთიანდა კოლექტივში 385 ღარიბი და საშვალო მშრომელი გლეხი და ჩამოყალიბდა მისი ინიციატივით,** რვა სას. სამ. არტელი აქედან ორი მესაქონლეობის კოლექტივი (სოფ. სოფ. ციხის ძირში, ვეძათ-ხევში, ციხის უბანში, ლაფანაანთკარში, ახალშენში, ლაკათხევში, ყველათაში და მაღრანში).

**საქ. კომკავშირის მე-10 ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე ახორციელებს ლოზუნგს კომკავშირის 100 %-ტით შესვლის შესახებ კოლექტივებში. მიღწეულია: (თუ კი 1930 წლის ნოემბრის თვისათვის გაერთიანებული იყო კოლექტივში კომკავშირის წევრები 10 %-ტი და 1931 წლის თებერვლის თვისათვის 17 %-ტი ეხლახან მარტის ბოლოს მიღწეულია 51 %-დე).**

თათბირი აღნიშნავს მიღწევებს გაზაფხულის კამპანიის მზადების ზოგიერთ დარგში: დამკვრელობის საფუძველზე, ბრიგადების მასიურად ამოძრავებას და მასში ახალგაზრდობის ჩაბმას. (კომკავშირის მიერ გაწმენდილია 19.120 ფუთი სათესლე, შეწამლულია 7.654 ფუთი და სასუქი გატანილია მინდვრებში 6794 ურემი და სხვა) და გაზაფხულის კომპანიაში ილინიშნოს განსაკუთრებით შემობრუნება ზოგიერთ უჯრედების (მჭადიჯვრის, ჰოპორტის, ქვითკირის წყაროს, შუახევის, ფასანაურის, მლეთის, ანანურის, ციხისძირის, ბაზალეთისა და სხვა).

**ამავე დროს უნდა აღინიშნოს რომ რაიონის ზოგიერთმა უჯრედებმა (შუაარაგვის და ბაზალეთში შემავლ უჯრედებმა და სხვა) მეორე ბოლშევიკურ გაზაფხულისსაბრძოლო გეგმის რეალიზაციის საქმეში ვერ გაშალეს თესვისათვის ლენინურად საბრძოლო ამოცანა, რომელიც გამოიხატება კონკრეტიულად:**

ა) დაზოგვის ფონდები შეგროვილია დღემდე 25 %-ტი, ჯერ კიდევ ზოგიერთ კოლმეურნეობამდე და ინდივიდუალურ მეურნეობამდე გეგმა არ არის დაყვანილი, არ არის მოგვარებული მანქანა-იარაღების საკითხი, რაიონის ჩამორჩენად უნდა ჩაითვალოს სათესლე ფონდების გაწმენდა და უჯრედები მოუთმენელ-გულგრილობას იჩენენ არხების გაწმენდის შესრულებისათვის.

ბ) ნაკლებადაა გაშლილი მასიური კულტ მუშაობანი: სოცშეჯიბრი, დამკვრელობა, სამკითხველოები ჯერ კიდევ არ მომზადებულან მინდვრად მუშაობისათვის და ნაკლებადაა ჩაბმა კულტ-მუშაობაში შესაფერისი ბალახებისა და ახალგაზრდობისა.

გ) კონტრაქტაციის საქმე გაზაფხულის ნათესებზე რაიონში საფრთხეშია-მასში რაიონის უჯრედები ვერ დაირაზმენ სათანადოთ და აღინიშნოს ჩამორჩენილობის ფაქტები (მიუხედავათ მესაქონლეობის კოლექტივების ჩამოყალიბებისა და სანაშენო ღორების აყვანისა) მესაქონლეობის განვითარებაზე — მასზე შეფობის საქმის ყურში ვერ მოქცევა და სასილოსო მშენებლობისათვის გულგრილობა.

დ) თათბირი აღნიშნავს მასაც რომ რაიონში სუსტია კომკავშირის მონაწილეობა კოლმეურნეობაში და სას. საბჭოებთან ღარიბ ჯგუფებში და საწარმოო თათბირები — და ჯერ კიდევ უჯრედებს თავიაანთ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ვერ გაუხდიათ ამ მიმართულებით მუშაობა.

ამ რიგად თათბირი იძლევა შემდეგ დირექტივას გაზაფხულის კამპანიის ბოლშევიკურად შესრულებისათვის და დამკვრელობის საფუძველზე ხვნა-თესვაზე გადასვლისათვის.

**1. საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ისტორიულმა მოწოდებამ ტეხნიკურ კულტურათა და საგაზაფხულო ნათესების კონტრაქტაციის შესახებ უნდა შექმნას ყოველგვარი პირობები იმისათვის რომ მოხდეს გადასვლა სახ. სამ. წარმოების გეგმიან ხელმძღვანელობაზე და ქალაქისა და სოფლის შორის პროდუქტების სოციალისტურად გაცვლა-გამოცვლის რაც შეიძლება ფართო ფორმაზე (საქ. ალკკ ცეკას მეორე პლენუმიდან).**

კომკავშირის უჯრედებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი მუშაობა იმ მხრივ რომ, თვითეულ კოლმეურნეობამ, ინდივიდუალურად მეურნემ და აგრეთვე ღარიბ და საშვალო გლეხმა სრული 100 %-ტით კონტრაქტაცია უყონ საგაზაფხულო და ტეხნიკურ ნათესებს- მიეთითოს უჯრედებს ამ საქმისათვის უზრუნველყონ მოსახლეობაში მუშაობა გამოყონ დამხმარე ბრიგადები პრაქტიკულად ჩაებან კონტრაქტაციის საქმეში და კომკავშირის წევრები უნდა გახდნენ პირველი დაკონტრაქტების მოსახდენად. ამ საქმეში ჩამორჩენა უნდა აღიარებულ იქნას ოპორტიუნისტულ განწყობილებად, რასაც უნდა გამოეცხადოს ბრძოლა.

**2. ადგილებზე დაუყოვნებლივ რეალიზაცია ქმნილი უნდა იქმნეს კომკავშირის მესაქონლეობაზე საშეფო ვალდებულება როგორც რაიონი გამოხატავს მესაქონლეობის დასაყრდენს ამიტომაც ფართედ უნდა გაიშალოს მესაქონლეობის არტელების შექმნა (ფასანაური, გუდამაყარი, ჟინვალი, მლეთა, ანანური, მალაროს-კარი და სხვა.), უნდა მოეწყოს საქონლის კოლექტიური ეზოები, სარძეო არტელები და სხვა.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეღორეობის განვითარებას რაიონის ყველა ადგილებში რომელსაც უსათუოდ აქვს დიდი მნიშვნელობა ხორცის პრობლემის გადასაჭრელად. ამიტომაც უჯრედებმა უნდა შესძლონ კოლმეურნეობებთან სანაშენო ღორების შეძენა-მასზე მომვლელების გამოყოფა და შაფათობების მოწყობის სადგომების აგება.

ამავე დროს საჭიროა ბრძოლა იმისათვის რომ გავაფართოვოთ საკვები ბაზა რაც მოითხოვს საკვებ ბალახებისათვას სათეს მინდვრების გაფართოებას შემხვედრი გეგმების შედგენით რომელიც უნდა გატარდეს გაზაფხულის კამპანიაში.

საკვებ პრობლემის გადაჭრის დროს მთავარია სილოსის მშენებლობა-აღნიშნული კომკავშირმა უნდა შესძლოს გააცნოს მოსახლეობას, უჯრედი უნდა გახდეს სასილოსო მშენებლობის ორგანიზატორი რის გამოც უჯრედებმა უნდა შეუდგენ საამშენებლო მასალის მომარაგებას და სასილოსო ბალახების სათესის შესრულების თავიაანთ თავზე აღებას აგრეთვე უნდა შევსძლოთ ის რომ თვითეულ სოფელს და კოლმეურნეობას ქონდეს სილოსი.

უნდა მიღწეული იქნეს რაიონში მესაქონლეობათა კადრების მზადება (მოეწყოს სილოსისათვის კურს- კონფერენციები,) სკოლებში მესაქონლეობის განხრის შეტანა და საკ. სკოლების ამ ბაზაზე გადაკეთება.

3. დაუყოვნებლივ დასრულებული უნდა იქმნეს მანქანა-იარაღების მომარაგება და მისი შეკეთება. უჯრედებმა ამ მხრივ შეამოწმონ განვლილი მუშაობა და გამონახონ საჭირო საშვალებანი მოგვარებისათვის. მოეწყოს კომკავშირებისაგან უპარტ. ახ. ერთად გუთნის დედების კალონები კოლმეურნეობებში და ინდივიდუალურ მეურნეობებში შაბათობების მოსაწყობად. მასში გატარებული იქნეს სოცშეჯიბრი და საზოგადოებრივი ბუქსირი.

თათბირი აღნიშნავს რომ რაიონის სატრაქტორო სახელოსნო ვერ არის რაციონალურად გამოყენებული, საჭიროა მათი სისტემატიურად გადასვლა ადგილებზე და მასალების შეძენა. უჯრედებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტრაქტორების სათანადოთ დატვირთვას და მისი მომარაგებით უზრუნველყოფას.

**ამხ. სტალინის ლოზუნგი — „დაეუფლოდ ტეხნიკას“ აღნიშნული კომკავშირმა სოფლად უნდა განავითაროს: შემოწმებული იქნეს სახელოსნოში ახალხაზუდობის კვალიფიკაციის დონე, ჩამოყალიბდეს ყველა ტრაქტორებთან ტეხნიკური წრეები და მისაბმელი მანქანების და იარაღების შემსწავლელი ჯგუფები აგრეთვე ეწყობოდეს უჯრედების მიერ „საწარმოო თათბირების ჩატარება.**

აღინიშნოს საქ. კომკავშირის სახელობის სატრაქტორო ფონდისათვის თანხების შეკრების სუსტი მიმდინარეობა რისთვისაც უჯრედებს მიეცეთ მტკიცე დავალება რათა თანხები შეკრეფილი იქმნეს პირველ მაისამდე.

**4. მიეთითოს უჯრედებს მუშაობის გაძლიერებისაკენ საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში- უნდა აუხსნას მასებს რომ კოლმეურნეობის ძირითად ფორმას წარმოადგენს სახ. სამ. არტელი. უნდა გაიშალოს ბრძოლა სახ. სამ. არტელების შეუფასებლობის წინააღმდეგ," აგრეთვე წარმოებული უნდა იქნეს მუშაობა მიწის საზოგადოებრივად დამუშავების ამხანაგობების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც წარმოადგენს სახ. სამ. არტელში გარდამავალ ფორმას, რომლის შემდეგ ის გადაყვანილი უნდა იქმნეს სახ. სამ. არტელის წესდებაზე.**

**გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს „თვითმიმდინარეობაზე“ დაყრდნობას საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში.** უჯრედებმა უნდა გააძლიეროს მუშაობა ღარიბი და საშვალო მეურნეობათა შორის და გაატაროს მათი ნებაყოფლობითი კოლმეურნეობებში ჩაბმა, მეტად გაფართოვდეს ის რომ კომკავშირის წევრმა ხუთი გლეხი უნდა შეიყვანოს შეფობით ნებაყოფლობითი საფუძველზე კოლექტივებში.

მიეთითოს უჯრედებს ხელი მოჰკიდონ მათი მონაწილეობის გაძლიერებას ღარიბი და მოჯამაგირეთა ჯგუფების მუშაობაში როგორც ბადაუდებელ ამოცანა. და შექმნან ამ დარგში დამხმარე საუკეთესო კადრები, რათა ღარიბი ჯგუფები შეიქნან ინიციატორები ფართობების გადიდების, მანქანა-იარაღების მოვლა-პატრონობის, აგროვალდებულების, თესვის შესრულების, კოლმეურნეობის ზრდა-გამაგრების და სხვა.

მიეთითოს უჯრედებს ფართოთ ამოძრავდნენ და გაშალონ ქსელი მასში, რომ **„კოლმეურნეობების განმტკიცების და გაფართოების დროს საჭიროა ხდებოდეს საინიციატივო ჯგუფების დაარსება, ახალ კოლექტივების ჩამოყალიბებისათვის“**. უჯრედებმა უნდა შესძლონ განმარტება კოლმეურნეთა შორის იმ შეღავათების შესახებ, რომელსაც ხელისუფლება ანიჭებს მათ და თვითეულმა უჯრედმა თავისი ყურადღების მიხედვით უნდა მიაქციოს ის რომ აუხსნას ფართო მასებს კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ღარიბ მოჯამაგირე და საშვალო გლეხებს შორის.

5. დაევალოს უჯრედებს ფართოთ შეისწავლონ კოლმეურნეობის შორის ორგანიზაციის საქმე სპეციალურ ჯგუფების შექმნით. ბრძოლა უნდა გამოეცხადოს კოლმეურნეობაში მტაცებლურ და წაგლეჯის ამბებს და კოლმეურნეობების წინააღმდეგ წარმოებულ აგიტაციას უნდა დაუპირისპიროთ შრომის კანონიერი ორგანიზაცია და შემოსავლის სწორი განაწილება. კომკავშირის ერთ ერთ მოვალეობას შეადგენს ბრძოლა შრომის ნაყოფიერებისათვის, მიწადმოწყობის დროზედ გატარების, აღრიცხვიანობისა და მუშა ძალის და იარაღების რაციონალურად გამოყენებისათვის.

გაძლიერებული უნდა იქნეს მონაწილეობა საწარმოო თათბირებში მასში დამხმარე ჯგუფების შექმნით. რაც მთავარია საჭიროა მოხდეს რაიონში გარდატეხა სოცშეჯიბრის გაშლა-გაფართოებისათვის და მიღებული იქმნეს ყოველგვარი ზომები დამკვრელი ბრიგადების ჩამოსაყალიბებლად —თვითეულ კოლმეურნეობაში ჩამოყალიბდეს ახალგაზრდობის საჩვენებელი ბრიგადესი.

ვინაიდან უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ქალთა და მოზარდთა შრომის გამოყენებას კოლმეურნეობებში, ამიტომ აღებული უნდა იქმნას კურსი სასოფლო მეურნეობის დამხმარე დარგების ჩამოყალიბების მიმართულებით — მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა, მეღორეობა, წვრილი მესაქონლეობა და სხვა. (საქ. ალკკ ცეკას მეორე პლენუმის დადგენილებიდან).

6. მიეთითოს ორგანიზაციებს ლოზუნგი: **„ასი პროცენტით კომკავშირლების კოლმეურნეობაში შესასვლელად“**. გააძლიერონ მუშაობა ყრილობათა დადგენილების საფუძველზე ამ ლოზუნგის სრული გაგებით. (იხ. პლენუმის რეზ.) ამავე დროს თათბირი ადგენს: გადაკეთებული იქნეს საკოლმეურნეო უჯრედებად — **ქვით-კირის წყაროს, ლაფანაანთ-კარის, გრემისხევის, მჭადიჯვრის შუახევის ბაზალეთის, ციხის-ძირის, ბიჩნიგაურის, ოძისის, ანანურის და მლეთის** უჯრედები, სადაც მიმაგრებული იქნენ ამხანაგები საკოლმეურნეო უჯრედების მუშაობის ფორმების დასამუშავებლად.

7. მიეთითოს ქალაქის უჯრედებს გააძლიერონ მუშაობა სოფლის უჯრედებზე და გაუწიონ დახმარება პრაქტიკული, — და აგზავნონ კულტურული და სპეციალური ბრიგადები და გააძლიერონ მუშაობა სოფელზე ხელმძღვანელობის უფრო მოქნილი და კონკრეტიული ფორმების შემოღებით.

8. აგროვალდებულების ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის მიეთითოს უჯრედებს საკონტროლო ციფრების უზრუნველსაყოფათ და დამზღვევი ფონდების შეგროვებისათვის. თათბირი ამასთანავე ადგენს, რომ გამოცხადებული იქნეს **დამკვრელი ათდღიური აგროვალდებულების შესრულებისათვის და დამკვრელი ორი დეკადა 25 აპრილამდის არხების გასაწმენდათ — არხების გაწმენდის შესრულება უნდა გადაიქცეს უჯრედების აუცილებელ ამოცანად.**

მიეთითოს „მ/კ“ ჯგუფებს მუშაობის მეტად გაძლიერებისაკენ, გაზაფხულის კამპანიაში ყოველგვარ მახინჯ მხარეების გამომზეურებისათვის და უზრუნველყონ პრაქტიკული ღონისძიებების დასახვა მათი გაზაფხულის კამპანიაში სრული ჩაბმისათვის.

პიონერთა მუშაობა უნდა იქნეს დარაზმული მათ მშობლებში და მოსახლეობაში მუშაობის ჩასატარებლად — გაშლილი აქმნეს ქსელი პიონერთა მეფრინველობის და სხვა დარგების ჩამოსაყალიბებლად და ნაკვეთი მიწების დამუშავებაზე გადასასვლელად.

**მიეთითოს უჯრედებს საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდისათვის დასთესონ ორ-ორი გექტარი მიწა სულ რაიონში მიღწეული იქნეს 75 გექტარის თესვა.**

9. კამპანიის ცოცხლად ჩატარება უსათუოდ მოითხოვს კულტმასიურ მუშაობის გაუმჯობესებას: დაკვრითი წესით გადაკეთებული იქმნეს ქოხ-სემკითხველოები მინდვრის სამკითველოებად, მოეწყოს კულტკოლონები და ბრიგადები, მოეწყოს მფრინავი მიტინგები და მხიარული საღამოები, აგრეთვე მასში ჩაბმული იქნეს ადგილობრივი ძალები და მშრომელი ახალგაზრდობა.

**კოლმეურნეობის ორგანიზნციის და უჯრედთა მუშაობის ფორმების გამოცდილების გაძლიერებისათვის მიეთითოს უჯრედებს მოაწყონ სისტემატიური დათვალიერებები ურთ-ერთ შორის დი ამ მიმართულებით გააღრმავონ სოცშეჯიბრი და დამკვრელობს**

10. ბრძოლა უნდა გამოეცხადოს იმ კომკავშირელებს რომლებიც ექცევიან კლასიურ მტრების გავლენის ქვეშ (ოძისი, ბიჩიგაურთ-კარი, ჟინვალი, ახატანი, ნოჯიკეთი და სხვა). ამავე დროს გაძლიერებული უნდა იქმნეს ბრძოლა ყოველგვარ შემოტევების წინააღმდეგ (გალახეს კომკავშირელი) და ფართეთ აუხსნათ მასებს კულაკისა და მათი აგენტურის ზრახვები).

**11. კომკავშირის ორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ გარდამწყვეტი ბრძოლა ორ ფრონტზე მემარჯვენე გადახრის, როგორც ამ ეტაპზე მთავარ საშიშროების „მემარცხენე“ ოპორტიუნიზმის, ორჭოფობის და მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ და სასტიკად შეებრძოლონ სოფლის ზოგიერთ უჯრედებში შემჩნეულ მემარჯვენე ოპორტიუნისტულ განწყობილებებს და კაპიტულიანტობას კულაკის წინაშე. უნდა მოახდინონ მთელი კომკავშირულ მასის მობილიზაცია გარკვეულ კლასობრივ პროლეტარულ ხაზის გასატარებლად, კლასიური მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად და განავითარონ ერთგული მუშაობა კომკავშირელთა და უპარტიო მშრომელი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლის ასამაღლებლად ფართო თეორეტიულ მოძრაობის განვითარების საფუძველზე. (საქ. ალკ ცაკის მეორე პლენუმის რეზოლიუციიდან),**

თათბირი სახავს რა ყველა ამ საბრძოლო ამოცანებს დაავალებს უჯრედებს პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ მოახდინონ მათი მუშაობის ამოქმედება. ბრძოლა ყველა იმათ, ვინც წუწუნებს ჩვენს ტემპების წინაშე და ბრძოლა გაუმართლებელ ობიექტობას — არც ერთი წუთითაც არ უნდა შენელდეს ორ ფრონტზე ბრძოლა და კომკავშირელთა კლასობრივად აღზრდა. რითაც დავეხმაროთ პარტიას **კულაკობის, როგორც კლასის მოსპობის გატარების ლოზუნგში მთლიანი კოექტივიზაციის საფუძველზე.**

31 მარტი 1931 წელი.

დამტკიცებულია დუშეთის კომკავშირის რაიკომის ბიუროს მიერ ოქმი № 15.

## დუშეთის რაონის ყველა უჯრედებს.

გეგზავნებად თათბირის მიერ მიღებული რეზოლიუცია საგაზაფხულო კამპანიის შესახებ, გევალებად ყველა უჯრედებს აღნიშნული დაამუშაოდ უჯრედის კრებებზე, შეამოწმეთ თქვენი განვლილი მუშაობა თესვის საქმეში და მიიღოთ პრაქტიკული ღონისძიებები. ფართეთ გაშალეთ მუშაობა მიმდინარე კამპანიებში და უზრუნველყავით რეზოლიუციაში მოცემული მითითებები მშრომელი ახალგაზრდობის ამ საქმეში დარაზმით. **აგრეთვე გევალებად მუშაობის მიმდინარეობაზე ყოველ ხუთ დღეში მოაწოდოთ მასალები რაიკომს.**

**ადგილებზე მიმაგრებული ამხანაგები გაზაფხულის ბოლომდე.**

**მიმაგრებულია:** მჭადიჯვარში—გ. ცინცაძე და ვლად. გოგია. ჰოპორტში—ბ. კაკურია, ბაზალეთში და ჩრდილელიანთ კარში—ლ. კურკუმული, მლეთაში—ჯავაშვილი, გრემისხევში—ბანდური, ფასანაურში და გუდამაყარში—ვალ გოგია, ანანაურში—უჯმაჯურიძე, ჟინვალში—ბადაგაძე, ქალაქის უჯრედებზე—ი. ჭეიშვილი, კობიანთ-კარში, თანიაანთ-კარში და აშში—ს. ალიხანოვი, მილახვრიანთ-კარში და არღუნში—გულაშვილი, მლაშეში და საკრამულოში—ზუმბაძე და რომანი, წითელ-სოფელში—ვახ. ლაბაძე, ჰილურტში და ებნისში—კუპრაძე, ჭინჭარაანთ-კარში და საშაბუროში—ბალდავაძე და შუაარაგვის სოფ. საბჭ.—ტ. ჯაფარიძე.

**საქ. ალკკ დუშეთის რაიკომის მდივანი—ცინცაძე.**

**გას. № 326.**

საქართველოს პოლიგრაფტრესტის 2-რე სტამბა

გლავლიტ. № 789 ტირაჟი 200